



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 2345
25/10/2019

2345-02-4-201910251743



მუხლიდან მუხლში თანხის გადატანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. გადატანილი იქნას ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ონის მუნიციპალიტეტის მერიის პროცენტის მუხლიდან 2 395 (ორი ათას სამას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლიდან (ექსპერტიზისა და შემოწმების ხარჯი) 5 787 (ხუთი ათას შვიდას ოთხმოცდაშვიდი) ლარი და არაფინანსური აქტივების მუხლიდან (ნაგავმზიდი მანქანების სესხის თანხა) 19 618 (ცხრამეტი ათას ექვსას თვრამეტი) ლარი ვალდებულების კლების სესხის მუხლში, სულ 27 800 (ოცდაშვიდი ათას რვაასი) ლარი, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ონის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის და ნარჩენების კონტეინერის სესხის დასაფარად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

